SOME ISSUES OF EDUCATION AND CULTURE IN DEMOCRATIC GEORGIA (1918-1921)

განათლებისა და კულტურის ზოგიერთი საკითხი დემოკრატიულ საქართველოში (1918-1921 წლები)

Roin Metreveli
Academician, Vice-President of Georgian National Academy of Sciences. Tbilisi, Georgia
ORCID ID: 0000-0001-6406-778X
(032) 2 93 19 67; roin@metreveli.co

Abstract

The present essay contends that the years of 1918-1921 were virtually spiritually and creatively fruitful. Despite the many difficulties (political and economic) in this short period, much important work was done in science, literature, and almost every field of art. It should also be noted that all that was done in the fields of science, literature, and art during Georgia's independence was a continuation of previous years' creative work; Active creative work continued and in fact helped lay the groundwork for independence in the spiritual life.

The article describes the humanitarian situation (in science, culture, and education) of Georgia in the first two decades of the 20th century, emphasizing the level of development in specific areas. The humanitarian disciplines (history, archeology, and study and collection of antiquities) progressed a lot; The Church Museum was established; and various societies, including the Society for the Spreading of Literacy, continued to work (the Society existed until the establishment of Soviet power in 1921). The Historical-Ethnographic Society of Georgia, with its diversified program, continued to be active and was instrumental in the establishment of Tbilisi University.

The diversified creative activities of Georgian creative intelligentsia of this period formed an important basis for the continuous cultural development of Georgia and satisfaction of spiritual needs of the nation.

Key words: position, humanitarian, independence, scholarship, university, polytechnic school.

როინ მეტრეველი
აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა
ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი. თბილისი, საქართველო
ORCID ID: 0000-0001-6406-778X
(032) 2 93 19 67; roin@metreveli.co

აბსტრაქტი

წინამდებარე ნარკვევი ასაბუთებს, რომ რეალურად 1918-1921 წლები ნაყოფიერი იყო სულიერი, შემოქმედებითი თვალსაზრისით. სწორედ, დროის ამ მონაკვეთში, მრავალი სირთულის (პოლიტიკური, ეკონომიკური) მიუხედავად, მეცნიერებაში, ლიტერატურასა და თითქმის ხელოვნების ყველა დარგში ბევრი მნიშვნელოვანი რამ შეიქმნა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ის რაც საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში მეცნიერებაში, ლიტერატურასა და ხელოვნებაში გაკეთდა წინა წლების შემოქმედებითი საქმიანობის გაგრძელებას წარმოადგენდა; გრძელდებოდა აქტიური შემოქმედებითი ღვწა. ამით კი ფაქტობრივად მზადდებოდა დამოუკიდებლობა სულიერი ცხოვრების სფეროში.

სტატიაში წარმოდგენილია XX საუკუნის პირველი ოცწლეულის საქართველოს ჰუმანიტარული ვითარება (მეცნიერება, კულტურა, განათლება), ხაზი გაესვა ცალკეული დარგების დონეს. წინსვლა განიცადეს ჰუმანიტარულმა დისციპლინებმა (ისტორია, არქეოლოგია, სიძველეების შესწავლა-შეგროვება). დაარსდა საეკლესიო მუზეუმი. მუშაობას აგრძელებენ სხვადასხვა საზოგადოებები, მათ შორის, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომელიც სერიოზულ საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდა (საზოგადოებამ იარსება საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე (1921 წ.). მნიშვნელოვან საქმიანობას აგრძელებდა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, რომელსაც მრავალმხრივი პროგრამა ჰქონდა და განსაკუთრებული როლი ითამაშა თბილისის უნივერსიტეტის დაფუძნებაში.

ამ პერიოდის ქართველი შემოქმედებითი ინტელიგენციის მრავალმხრივმა შემოქმდებითმა საქმიანობამ მნიშვნელოვანი საფუძველი შეუქმნა საქართველოს შემდგომ კულტურულ დაწინაურებას, ხალხის სულიერი მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

საკვანძო სიტყვები: პოზიცია, ჰუმანიტარული, დამოუკიდებლობა, თანამოაზრეობა, უნივერსიტეტი, პოლიტექნიკუმი

შესავალი

საბჭოთა პერიოდში საქართველოს დამოუკიდებლობის წლების (1918-1921 წწ.) ქართული კულტურის (განათლების, მეცნიერების) შესახებ მოკრძალებული ინფორმაცია არსებობდა. საქმე ისაა, რომ იმდროინდელი „მენშევიკური“ (სოციალ-დემოკრატიული) მთავრობა, შესაბამისად, რეჟიმიც, მიუღებელი იყო, უფრო მეტიც, მოღალატურად იყო გამოცხადებული კომუნისტური ხელისუფლების მიერ. იყო მცდელობა, რომ ეს წლები ის-

ტორიიდან ამოშლილიყო და შესაბამისად იმ ეპოქის მთელი ინტელექტუალური შრომის ნაყოფი იგნორირებული ყოფილიყო.

ჭეშმარიტება მოითხოვს აღინიშნოს, რომ რეალურად 1918-1921 წლები ნაყოფიერი იყო სულიერი, შემოქმედებითი თვალსაზრისით (ბერიძე, 1992). სწორედ, დროის ამ მონაკვეთში, მრავალი სირთულის (პოლიტიკური, ეკონომიკური) მიუხედავად, მეცნიერებაში, ლიტერატურასა და თითქმის ხელოვნების ყველა დარგში ბევრი მნიშვნელოვანი რამ შეიქმნა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ის რაც საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში მეცნიერებაში, ლიტერატურასა და ხელოვნებაში გაკეთდა წინა წლების შემოქმედებითი საქმიანობის გაგრძელებას წარმოადგენდა; გრძელდებოდა აქტიური შემოქმედებითი ღვწა. ამით კი ფაქტობრივად მზადდებოდა დამოუკიდებლობა სულიერი ცხოვრების სფეროში.

მეთოდი

საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდის შესახებ არსებული წყაროების (პრესა, სხვადასხვა სახის დოკუმენტური მასალა) შესწავლის, არსებული სხვადასხვაენოვანი ლიტერატურის (მონოგრაფიები, მოგონებები, კრიტიკული წერილები) მონაცემების გათვალისწინების საფუძველზე, კრიტიკული ანალიზის ხერხისა და არსებული წყაროებისა და ლიტერატურის შეჯერების საფუძველზე ობიექტურადაა გამოკვლეული დასახული პრობლემა და დასკვნაც შესაბამისია.

შედეგი

წყაროების დამოწმებისა და მრავალმხრივი ლიტერატურის (მონოგრაფიები, პრესის მონაცემები, მოგონებები და სხვ.) განხილვა-გაანალიზების საფუძველზე დასაბუთებულია, რომ დამოუკიდებელი საქართველოს დროის (1918-1921 წწ.) განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სხვადასხვა დარგები ქვეყანაში მნიშვნელოვნად ვითარდება. ამ პერიოდის ქართველი შემოქმედებითი ინტელიგენციის მრავალმხრივმა შემოქმედებითმა საქმიანობამ რეალური საფუძველი შეუქმნა საქართველოს შემდგომ კულტურულ წინსვლას, ხალხის რეალური მოთხოვნილების დაკმაყოფილებას.

მსჯელობა

სტატიაში წარმოდგენილია XX საუკუნის პირველი ოცწლეულის საქართველოს ჰუმანიტარული ვითარება (მეცნიერება, კულტურა, განათლება), ხაზი გაესვა ცალკეული დარგების დონეს. წინსვლა განიცადეს ჰუმანიტარულმა დისციპლინებმა (ისტორია, არქეოლოგია, სიძველეების შესწავლა-შეგროვება). დიმიტრი ბაქრაძის თაოსნობით დაარსდა საეკლესიო მუზეუმი. მუშაობას აგრძელებენ სხვადასხვა საზოგადოებები, მათ შორის, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომელიც სერიოზულ საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდა (საზოგადოებამ იარსება საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე (1921 წ.). მნიშვნელოვან საქმიანობას აგრძელებდა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება,

რომელსაც მრავალმხრივი პროგრამა ჰქონდა და განსაკუთრებული როლი ითამაშა თბილისის უნივერსიტეტის დაფუძნებაში (იხ. მტრეველი, 1982). ეს ფაქტი (უნივერსიტეტის დაარსება) კი უდიდესი მოვლენა იყო საქართველოს ისტორიაში. ამ ფაქტმა რამდენიმე თვით დაასწრო საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას. აქვე უნდა ითქვას, რომ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მესვეურთა ერთი ნაწილი აქტიურად მონაწილეობდა საუნივერსიტეტო მოძრაობაში.

ქართული უნივერსიტეტის დაარსების საკითხი XX საუკუნის დასაწყისში დადგა (ჯორბენაძე, 1984, გვ. 184-234). ამ საქმეს სათავეში ედგა ივანე ჯავახიშვილი (იმხანად პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი). მან თავი მოუყარა საჭირო სამეცნიერო ძალებს. ამასთან წამოაყენა კონცეფცია, რომელიც რეალურად განსხვავდებოდა როგორც კავკასიის უნივერსიტეტის, ისე მეცნიერებათა აკადემიის დაარსების იდეისგან. საქმე უნდა დაწყებულიყო უნივერსიტეტით, რომელიც ქვეყნის ეროვნული აღორძინების საფუძვლად ისახებოდა. 1911-1912 წლებში პეტერბურგის სტუდენტთა წრის (დაარსდა 1907 წელს) თაოსნობით მოეწყო რუსეთისა და დასავლეთ ევროპის უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე ქართველი სტუდენტების გამოკითხვა. აშკარად გამოჩნდა ქართველი ახალგაზრდების სწრაფვა ცოდნის დაუფლებისაკენ.

მნიშვნელოვანი იყო რუსეთის მთავრობის მიერ 1914 წელს გამოცემული კანონი, რომელმაც დაუშვა რუსეთის იმპერიაში უმაღლესი სასწავლებლების დაარსება. ივანე ჯავახიშვილმა და მისმა თანამოაზრეებმა ამ ვითარებით ისარგებლეს და აქტიურ საქმიანობას შეუდგნენ. 1917 წლის თებერვალში პეტერბურგში ივანე ჯავახიშვილის ბინაზე შეიკრიბნენ: იოსებ ყიფშიძე, აკაკი შანიძე, შალვა ნუცუბიძე და პრაქტიკულად მოილაპარაკეს მომავალი უნივერსიტეტის დაარსების შესახებ. აუცილებლად ჩათვალეს უნივერსიტეტის მიმართ სასარგებლო საზოგადოებრივი აზრის შექმნა. ამ საქმეს გარკვეული წინააღმდეგობებიც შეხვდა. კინოთეატრ „ელიტაში“ მოწვეულ კრებაზე (თავმჯდომარეობდა ზურაბ ავალიშვილი) ივანე ჯავახიშვილის მოხსენების შემდეგ მონაწილეთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა უნივერსიტეტის იდეას დაუჭირა მხარი (შ. ნუცუბიძე და სხვ.), ერთმა ჯგუფმა (ნ. ნიკოლაძემ და სხვ.) კი პოლიტექნიკუმის დაარსება მოითხოვა (მეტრეველი, 1996).

1917 წელს ივანე ჯავახიშვილი თბილისში ჩამოვიდა და უნივერსიტეტის სასარგებლოდ ორგანიზაციული ზომების გატარებას შეუდგა. როგორც ზემოთ აღინიშნა, ექვთიმე თაყაიშვილის მიერ 1907 წელს დაარსებულმა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ პეტერბურგში მიმდინარე საუნივერსიტეტო პროცესის პარალელურად, თბილისში შექმნა პირობები უნივერსიტეტის დაარსებისათვის. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ თავი მოუყარა ქართველი ინტელიგენციის მნიშვნელოვან ნაწილს და ეროვნული მიზნების სამსახურში ჩააყენა; შეიქმნა მძლავრი საუნივერსიტეტო ბაზა, რომელიც ოფიციალური აღიარებით ერთადერთი აკადემიური დაწესებულება იყო: „ეს იყო მაშინ ჩვენში უნივერსიტეტიც, აკადემიაც და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტიც“ (კორნელი კეკელიძე).

1917 წლის 12 მაისს თბილისში გაიმართა ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების დამფუძნებელი კრება. მასში აქტიური მონაწილეობა მიიღეს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრებმა: ექვთიმე თაყაიშვილმა, ფილიპე გოგიჩაიშვილმა, აკაკი შანიძემ, კორნელი კეკელიძემ, დიმიტრი უზნაძემ, ლუარსაბ ბოცვაძემ, გრიგოლ ვეშაპელმა და სხვებმა. მოხსენება უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობის შესახებ ივანე ჯავახიშვილმა გააკეთა. ხანგრძლივი კამათის შემდეგ (ერთი ნაწილი სპეციალური უმაღლესი სასწავლებლის შექმნას უჭერდა მხარს) გადაწყდა დაარსებულიყო უნივერსიტეტი. პირველად სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი უნდა გახსნილიყო. ამ კრებაზე დაფუძნდა ქართული თავისუფალი უნივერსიტეტის განსაკუთრებული საზოგადოება (სურგულაძე, 1977, გვ. 190-276), (მეტრეველი,1982).

1917 წლის 17 მაისს ქუთაისში ჩატარდა კრება, რომელსაც დაესწრნენ გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეები: ი. ოცხელი, კ. ლორთქიფანიძე, ი. ბაქრაძე, მ. თაქთაქიშვილი, გრ. გველესიანი, მ. ფაღავა, ს. წერეთელი, ი. ქუთათელაძე, დ. ნიჟარაძე, ა. გორგაძე, ვ. ბერიძე, მ. ყაუხჩიშვილი, ალ. ჯანელიძე და სხვ. კრებამ მხარი დაუჭირა ივანე ჯავახიშვილის წინადადებას უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობის შესახებ. საუნივერსიტეტო მუშაობა ფართოდ გაიშალა. 1917 წლის 3 ოქტომბერს გაიმართა ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების კრება. დამსწრე საზოგადოებამ დიდი კმაყოფილებით მოისმინა ივანე ჯავახიშვილის მოხსენება იმ მუშაობის შესახებ, რომელიც უნივერსიტეტის შექმნისთვის იყო გაწეული. კრებამ მიიღო ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების ახალი წევრები: შალვა დადიანი, კონსტანტინე გამსახურდია, ნიკო ლომოური, სერგო კლდიაშვილი, გრიგოლ მუხაძე, შალვა მესხიშვილი, პარმენ გოთუა, ნინო ნაკაშიძე და სხვ.

ქართველი ხალხი ენთუზიაზმით გამოეხმაურა უნივერსიტეტის შექმნის იდეას. შემოდიოდა დიდძალი შესაწირავი. უნივერსიტეტის დაარსებისათვის საქმიანობას საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველებიც კეთილად გამოეხმაურნენ. 1917 წლის დეკემბერში დამტკიცდა უნივერსიტეტის დებულება. 1918 წლის 13 იანვარს შედგა პროფესორთა კოლეგიის სხდომა, რომელსაც დაესწრნენ: პეტრე მელიქიშვილი, ივანე ჯავახიშვილი, აკაკი შანიძე, ფილიპე გოგიჩაიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, შალვა ნუცუბიძე, იოსებ ყიფშიძე. თავმჯდომარეობდა პ. მელიქიშვილი, მდივანი იყო ა. შანიძე. სხდომამ რექტორობა სთხოვა ივანე ჯავახიშვილს, რაზეც ბატონმა ივანემ კატეგორიული უარი განაცხადა. დააყენა საკითხი, რომ რექტორად არჩეულიყო პეტრე მელიქიშვილი, რომელიც „დიდად ცნობილი მეცნიერი იყო როგორც რუსეთში, ისე საზღვარგარეთ და მისი არჩევა დიდ პრესტიჟს შეუქმნის ჩვენს უნივერსიტეტს“-ო. უნივერსიტეტის პირველ რექტორად პეტრე მელიქიშვილი აირჩიეს, სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანად - ივანე ჯავახიშვილი, პროფესორთა საბჭოს სწავლულ მდივნად - იოსებ ყიფშიძე.

უნივერსიტეტი გაიხსნა 1918 წლის 26 იანვარს, დავით IV აღმაშენებლის მოსახსენებელ დღეს. ამით ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ თბილისის უნი-

ვერსიტეტი საქართველოს მრავალსაუკუნოვანი განათლებისა და კულტურის დიდ ტრადიციებზე შეიქმნა – IV საუკუნეში არსებული ფაზისის რიტორიკული სკოლისა და XII საუკუნის გელათისა და იყალთოს აკადემიების მემკვიდრე გახდა. უნივერსიტეტის გახსნა ზეიმურად წარიმართა. შესავალი სიტყვა წარმოთქვა უნივერსიტეტის საზოგადოების თავმჯდომარემ აკაკი ჩხენკელმა[1]. საინტერესო გამოსვლა ჰქონდა პეტრე მელიქიშვილს. მან აღნიშნა: „ვაფუძნებთ ქართულ უნივერსიტეტს იმისათვის, რომ საშუალება მივცეთ ჩვენს ხალხს მშობლიურ ენაზე გაეცნოს და აითვისოს მეცნიერული ჭეშმარიტების საწყისები და აგრეთვე საშუალება მივცეთ ჩვენს მეცნიერულ ძალებს შეისწავლონ ჩვენი სამშობლო – საქართველო და კავკასია. შემდეგ იოსებ ყიფშიძემ წაიკითხა მოხსენება უნივერსიტეტის დაარსების ისტორიის შესახებ (მეტრეველი,1975, გვ. 26-62). ახლადდაარსებულ ქართულ უნივერსიტეტს მიესალმნენ: რუსული, სომხური, აზერბაიჯანული და პოლონური კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები. სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა კირიონ III-მ საგანგებო პარაკლისი გადაიხადა. ზეიმის დასასრულს გათვალისწინებული იყო ივანე ჯავახიშვილის ლექცია, მაგრამ დამსწრე საზოგადოების სიმრავლის გამო ეს ვერ მოხერხდა.

პირველი ლექცია „ადამიანის პიროვნება და მისი მნიშვნელობა ძველ ქართულ საისტორიო-საფილოსოფოსო მწერლობაში“ ივანე ჯავახიშვილმა წაიკითხა 1918 წლის 30 იანვარს. გახსნისას უნივერსიტეტში 369 სტუდენტი იყო, 89 – თავისუფალი მსმენელი. პროფესურას შეადგენდნენ: პეტრე მელიქიშვილი (ქიმიის დოქტორი), ივანე ჯავახიშვილი (ფილოლოგიის მაგისტრი), იოსებ ყიფშიძე (ფილოლოგიის მაგისტრი), ანდრია ბენაშვილი (გეოდეზიისა და ვარსკვლავთმრიცხველობის პროფესორი), კორნელი კეკელიძე (საეკლესიო ისტორია, მწერლობა, ღვთისმეტყველების მაგისტრი), დიმიტრი უზნაძე (ფსიქოლოგია და პედაგოგიკა, ფილოსოფიის დოქტორი), ფილიპე გოგიჩაიშვილი (პოლიტიკური ეკონომიკა, სტატისტიკა, ფილოსოფიის დოქტორი), ანდრია რაზმაძე (უმაღლესი მათემატიკის მაგისტრანტი), სვიმონ ავალიანი (ისტორიის მაგისტრანტი), შალვა ნუცუბიძე (ფილოსოფიის მაგისტრანტი), გიორგი ახვლედიანი (საზოგადო და შედარებითი ინდოევროპული ენათმეცნიერება, ენათმეცნიერების მაგისტრი), აკაკი შანიძე (ენათმცნიერება, ქართული ფილოლოგიის მაგისტრი), ექვთიმე თაყაიშვილი (ქართული სიძველეთმცოდნეობა, ანუ არქეოლოგია), იუსტინე აბულაძე (სპარსული ენა) და სხვ[2]. უნივერსიტეტის მესვეურები ყოველმხრივ

1 აკაკი ჩხენკელი - პოლიტიკური მოღვაწე, პუბლიცისტი, ქართველი მენშევიკების ერთ-ერთი ლიდერი. 1917 წ. ამიერკავკასიის კომიტეტის მეთაური. 1917-1918 წწ. - შინაგან საქმეთა მინისტრი; 1918 წ. აპრილიდან ამიერკავკასიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მეთაური. 1918-1921 წწ. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი. 1921 წლის იანვრიდან იყო საქართველოს დესპანი საფრანგეთში.

2 პროფესორთა შემადგენლობა ივანე ჯავახიშვილის მიერაა შერჩეული და მისივე ხელწერის სახით არსებობს (იხ. მეტრეველი, 1993, გვ. 46-48).

ცდილობდნენ პირველი ქართული უმაღლესი სასწავლებლის ავტორიტეტის ამაღლებას, სისტემატურად იწვევდნენ მძლავრ მეცნიერულ ძალებს. ნიშანდობლივია, რომ პეტრე მელიქიშვილისა და ივანე ჯავახიშვილის თაოსნობით, მათი წარდგინებით პროფესორთა საბჭომ 1918 წლის 15 მარტს საპატიო წევრად აირჩია გამოჩენილი ხელოვნებათმცოდნე, აკადემიკოსი ნიკოდიმე კონდაკოვი[3].

1918 წლის გაზაფხულზე შექმნილ რთულ სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაში (თბილისს ოსმალთა შემოსევით საფრთხე დაემუქრა) თბილისის უნივერსიტეტმა დიდი სიმტკიცე გამოავლინა, მიიღო დადგენილება არ დაკეტილიყო უნივერსიტეტი, ომში წასული სტუდენტებისათვის კი განმეორებით წაკითხულიყო ლექციები. საშიშროების მოახლოების დროს პროფესორები უნივერსიტეტის შენობაში უნდა დარჩენილიყვნენ და დაეცვათ იგი. ამ მამულიშვილური დადგენილების მიმღებები იყვნენ: პეტრე მელიქიშვილი, ივანე ჯავახიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, კორნელი კეკელიძე, ფილიპე გოგიჩაიშვილი, აკაკი შანიძე, შალვა ნუცუბიძე, გიორგი ახვლედიანი, იოსებ ყიფშიძე... ამ ზნემაღალ მოქალაქეობრივ პოზიციას და პროფესორთა რეალურ ქმედებას კომენტარი არ სჭირდება.

ივანე ჯავახიშვილისა და ექვთიმე თაყაიშვილის წინადადებით მხატვარმა დიმიტრი შევარდნაძემ შექმნა უნივერსიტეტის გერბი. ხატოვნად წარმოისახა ალმა-მატერის (მასაზრდოებელი დედის) ხორცშესხმული სიმბოლიკა – შველი, რომელიც ძუძუს აწოვებს ნუკრს. 1918 წლის 5 თებერვალს პროფესორთა საბჭომ მოიწონა გერბის ნიმუში და მიიღო იგი.

უნივერსიტეტი თანდათან გაიზარდა. 1918 წლის ოქტომბერში გაიხსნა სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი, 1921 წლის 30 სექტემბერს - აგრონომიული ფაკულტეტი; 1922 წლის 16 იანვარს - პოლიტექნიკური ფაკულტეტი; 1922 წლის ოქტომბერში – სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტი.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ 1918 წლის 3 სექტემბერს ქვეყნის ეროვნულმა საბჭომ, უნივერსიტეტი (რომელიც მანამდე კერძო სასწავლებელს წარმოადგენდა), სახელმწიფო უნივერსიტეტად გამოაცხადა და მას ავტონომია მიანიჭა.

დადგა უნივერსიტეტის ახალი რექტორის არჩევის საკითხი. პროფესორთა საბჭომ ვერ გაითვალისწინა ივანე ჯავახიშვილის გულწრფელი თხოვნა – არ წამოეყენებინათ რექტორად მისი კანდიდატურა. 1919 წლის 24 დეკემბერს ივანე ჯავახიშვილი არჩეულ იქნა უნივერსიტეტის რექტორად. იგი დიდი ენერგიით შეუდგა მუშაობას. მისი სამოქმედო არე მრავალმხრივი იყო. ცდილობდა გაეზარდა და აემაღლებინა უნივერსიტეტის პროფესორთა დო-

3 ნიკოდიმე კონდაკოვი ხელოვნების ისტორიის გამოჩენილი მკვლევარი იყო. მსოფლიოს ხელოვნების ისტორიის მნიშვნელოვან გამოკვლევებთან ერთად, მან გარკვეული ამაგი დასდო ქართულ ხელოვნებასაც. გამოსცა «Древняя архитектура Грузии» (1876 წ.), «Опись памятников древности внекоторых храмах и монастырахъ Грузии (1890 წ.). ივანე ჯავახიშვილი მაღალ შეფასებას აძლევდა მის ღვაწლს საქართველოს მიმართ.

ნე, იბრძოდა პროფესორ-მასწავლებელთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის, საგანგებოდ იწვევდა სპეციალისტებს სხვადასხვა ქვეყნებიდან.

თავისი არსებობის პირველსავე წლებში უნივერსიტეტმა დიდ წარმატებებს მიაღწია. საფუძველი ჩაუყარა სხვადასხვა მეცნიერულ სკოლებს (ქართველოლოგია, ფიზიოლოგია, მათემატიკა, ფსიქოლოგია, აღმოსავლეთმცოდნეობა და სხვ.), რომლებმაც შემდგომში საქვეყნოდ გაითქვეს სახელი.

ნაყოფიერი იყო ქართველ მეცნიერთა მოღვაწეობა დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში. ქართული სამეცნიერო ლიტერატურა გამდიდრდა მნიშვნელოვანი გამოკვლევებით. 1918 წელს გამოიცა ივანე ჯავახიშვილის „ქალაქები და საქალაქო წყობილება და ცხოვრების ვითარება საქართველოში XVII-XVIII საუკუნეებში“. ამავე წელს ქუთაისში გამოიცა „ქართველი ერის მოკლე ისტორია“, წიგნი მეორე, XI-XII საუკუნეები. 1919 წელს ივანე ჯავახიშვილმა გამოსცა „დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში“, „საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული“ (1919 წ.), „ქართული სამართლის ისტორია“, წიგნი I, 1919 წ. 1918 წელს გამოვიდა კორნელი კეკელიძის „კიმენი“, ტ. I, ქართული პალეოგრაფიული ძეგლები“, 1920 წელს მეცნიერმა გამოსცა „თარგმანებაჲ ეკლესიასტისაჲ მიტროფანე მზჳრნელ მიტროპოლიტისაჲ“. ნიშანდობლივია, რომ უნივერსიტეტის სტუდენტთა კავშირმა 1918 წელს გამოსცა გიორგი ახვლედიანის „ენათმეცნიერების შესავალი“ და 1919 წელს – „რუსული ენის გრამატიკა“.

პირველად ჩატარდა დისერტაციის დაცვა – სადოქტორო დისერტაცია თემაზე „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“, დაიცვა აკაკი შანიძემ (მეტრეველი,1975, გვ. 71).

იმ ხანებში თავის საქმიანობას აგრძელებდა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება. იყო სხვა „საზოგადოებებიც“, რომელთაც მიზნად ჰქონდათ დასახული ქართული კულტურის შესწავლა-პროპაგანდა. 1919 წელს კავკასიის მუზეუმი საქართველოს მუზეუმად გადაიქცა (სხვა მუზეუმებს: საეკლესიოს, წერა-კითხვის საზოგადოებას, საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას, შინამრეწველობას ექსპოზიციის მოწყობის საშუალება არ ჰქონდა). ოციან წლებში სამუზეუმო საქმის რეორგანიზაცია მოხდა. ფართო გასაქანი მიეცა ქართულ თემატიკას.

მოსკოვის საარქეოლოგიო საზოგადოების კავკასიის განყოფილებამ ოციან წლებში გამოსცა „იზვესტიის“ V (I 1919 წ.) და VI ტომები (1921 წ.). საქართველოს ტექნიკურმა საზოგადოებამ 1920 და 1921 წლებში გამოსცა „ტექნიკური ტერმინოლოგია“. ამ ტერმინოლოგიის შემქმნელთა შორის იყვნენ: გიორგი და რუსუდან ნიკოლაძეები, ივანე ბერიძე, ვასილ კაკაბაძე, გიორგი გედევანიშვილი, მიხეილ შალამბერიძე და სხვ. ეს იყო პირველი ნაბიჯი ტექნიკური ტერმინოლოგიის შესწავლის საქმეში.

1917 წელს ნიკო მარის თაოსნობით და ხელმძღვანელობით შეიქმნა კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტი, სადაც მოღვაწეობდნენ ექვთიმე თაყაიშვილი, გიორგი ჩუბინაშვილი, დიმიტრი გორდეევი და

სხვ. ტარდებოდა ექსპედიციები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, სწავლობდნენ ქართული ენის დიალექტებს, ისტორიასა და ხელოვნების პრობლემებს.

მნიშვნელოვანი იყო საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მიერ 1920 წელს მოწყობილი ძველი ქართული ხუროთმოძღვრების გამოფენა. ექსპონანტების უმეტესობა ექვთიმე თაყაიშვილის მიერ მოპოვებული ანაზომები და ფოტომასალა იყო. ქართულ და რუსულ ენაზე გამოვიდა კატალოგები, სადაც მოცემული იყო სრული ინფორმაცია ყველა გამოფენილი ძეგლის შესახებ. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა აქტიურად ზრუნავდა საშუალო სკოლის გაეროვნულებაზე. 1921 წლის დასაწყისში ქვეყანაში 80234 მოსწავლე ირიცხებოდა. განათლების სამინისტრო (მინისტრები: გიორგი ლასხიშვილი, ნოე ცინცაძე) ზრუნავდა პედაგოგთა გადამზადებაზე. თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტი, ხონის, გორისა და სოხუმის სამასწავლებლო სემინარიები სახელმწიფოდ გამოცხადდა და გაქართულდა. გამოიცა საშუალო სკოლის სახელმძღვანელოები. ყურადღება მიექცა ეროვნული უმცირესობის სკოლებს. გაიხსნა სომხური, აზერბაიჯანული, ბერძნული და ოსური სკოლები.

ოციან წლებში პროგრესულად მოაზროვნე მოღვაწეებმა მოიწადინეს ენციკლოპედიის გამოცემა. ამ საქმის მოთავეები იყვნენ: ალექსანდრე ცაგარელი, ვასილ პეტრიაშვილი, ალექსანდრე ხახანაშვილი. „საქართველოს ენციკლოპედიის“ გამოცემის განსახორციელებლად შეიქმნა ამხანაგობა „ცისკარი“, რომლის გამგეობაში შევიდნენ ი. გოგებაშვილი, ფ. გოგიჩაიშვილი, პ. გოთუა, პ. თუმანიშვილი, კ. თუმანიშვილი, ი. მაჭავარიანი. სათანამშრომლოდ მოწვეულ იქნენ: ზ. ავალიშვილი, ე. თაყაიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ნ. მარი, ეპისკოპოსი კირიონ III, მ. ჯანაშია, პ. მელიქიშვილი. შეიქმნა საგანგებო პროგრამაც, რომელიც პრაქტიკულად ყველა დარგს მოიცავდა. აქ გათვალისწინებული საკითხები წარმოდგენას გვაძლევს ქართველი მეცნიერების განვითარების იმდროინდელ დონეზე.

მაშინდელმა პირობებმა არ მისცა საშუალება ქართველ სწავლულებს ამ ურთულესი საქმის – ენციკლოპედიის გამოცემის განხორციელებისა. ლექსიკოლოგიური საქმიანობა ყოველთვის რთული იყო და ენციკლოპედიის შედგენა, დამუშავება და გამოცემა ათეული წლების შემდეგ გახდა შესაძლებელი.

მნიშვნელოვანია, რომ 1917-1921 წწ. გრძელდებოდა ცხოველი ლიტერატურული ცხოვრება. თავის აქტიურ შემოქმედებით საქმიანობას აგრძელებდნენ: ლეო ქიაჩელი, ნიკო ლორთქიფანიძე, გრიგოლ რობაქიძე, მიხეილ ჯავახიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, გალაქტიონ ტაბიძე, იოსებ გრიშაშვილი, ალექსანდრე აბაშელი, სანდრო შანშიაშვილი, სიკო ფაშალიშვილი, გიორგი ლეონიძე და სხვ. „ცისფერყანწელები“ (პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, შალვა აფხაიძე, სერგო კლდიაშვილი და სხვ.) ქუთაისიდან თბილისში გადავიდნენ და აქ გააგრძელეს შემოქმედებითი საქმიანობა. საინტერესო ლიტერატურათმცოდნეობით და კრიტიკულ ნარკვევებს ბეჭდავდა კიტა აბაშიძე. ასპარეზზე გამოვიდნენ გერონტი ქიქოძე და ვახტანგ კოტეტიშვილი.

ნიშანდობლივია, რომ ამ პერიოდის მწერლები გამოირჩეოდნენ ინ-დივიდუალობით. მათთვის საერთო მახასიათებელი იყო ახლის ძიება; თვალსაწიერის მიღმა არ რჩებოდათ უცხოეთის მწერლობაში მიმდინარე პროცესები. ამასთან ქართველი მწერლებისათვის უცხო იყო ეროვნული თავისთავადობის უგულებელყოფა. ეროვნულობა არა მარტო ქართული მწერლობის, არამედ კულტურის (სახვითი ხელოვნების, მუსიკის, თეატრის) დამახასიათებელი იყო. 1919 წელს გერონტი ქიქოძე გაზეთ „საქართველოში“ წერდა: „ახალი გზების ძიება თითქმის ყველა დარგში ეტყობა ქართველ ხელოვნებას... განსაკუთრებით დასაფასებელი არიან ახალგაზრდა ქار-თველი პოეტები, მხატვრები, მემუსიკეები, რომელნიც თამამად ებრძვიან გაუგებრობასა და გაჭირვებას, რომ განახლებულ საქართველოს განახლე-ბული ხელოვნება მისცენ“.

აღსანიშნავია, რომ „ცისფერყანწელებისათვის“ განსაკუთრებული და-მოკიდებულების საგანი იყო ცნობილი ევროპელი მწერლების: ბოდლერის, მალარმეს, რემბოს, ვერლენის შემოქმედება. ეს მწერლები ქართულად ითარგმნებოდა. ლიტერატურული იმპრესიონიზმის კვალი ჩანს ნიკო ლორ-თქიფანიძისა და ლეო ქიაჩელის იმპერიოდის შემოქმედებაში. სიმბოლიზმისა და იმპრესიონიზმის გავლენა ჩანს გალაქტიონ ტაბიძის შემოქედებაში, სადაც ქართული ლექსის ფორმა, წერის ტექნიკა განსაკუთრებული სისადავითა და მაღალი პროფესიონალიზმით გამოირჩევა. გალაქტიონ ტაბიძის ლექსების პირველი კრებულები 1914 და 1919 წელს გამოვიდა. სრულიად ახალგაზრდა ასაკში მან დიდი აღიარება მოიპოვა (თანამედროვეები მას პოეტების მეფეს უწოდებდნენ). დამოუკიდებლობის პერიოდს მიეკუთვნება გალაქტიონ ტაბიძის „არტისტული ყვავილები“, ვასილ ბარნოვის „ტრფობა წამებული“, „გველის ზეიმი“, ნიკო ლორთქიფანიძის „ჟამთა სიავე“, იოსებ გრიშაშვილის „ტრიოლეტები შეითან ბაზარში“, „აშპაშხანისკენ“. ამ წლებში იბეჭდებოდა პაოლო იაშვილის, ტიციან ტაბიძის ლექსები, კონსტანტინე გამსახურდიას, გერონტი ქიქოძის, გრიგოლ რობაქიძის, ვახტანგ კოტეტიშვილის სხვადასხვა სახის ნაწარმოებები (მათ შორის, კრიტიკული წერილებიც) (ბერიძე, 1992, გვ. 14).

დამოუკიდებელ საქართველოში პრესის გამოცემების აშკარა სიუხვე იყო. გამოდიოდა პოლიტიკური, სახელოვნებო, ლიტერატურული და სხვა სახის ჟურნალ-გაზეთები. 1916 წელს დაარსდა ჟურნალი „საფირონი“ (რედაქტორი გ. ლეონიძე), რომელიც შემდგომ წლებშიც აგრძელებდა არსე-ბობას. ყოველთვიურ ჟურნალ „ცისარტყელას“ რკინიგზის „კულტურა-განათლების კომისია“ 1919 წლიდან გამოსცემდა (კოლეგია: ივანე გომარ-თელი, ალექსანდრე აბაშელი, პოლიო ირეთელი, არჩილ რუხაძე, სოლომონ თავაძე). 1920 წლიდან გამოდიოდა „ცისფერყანწელების“ ჟურნალები „მშვილდოსანი“, „მეოცნებე ნიამორები“ და „ბარრიკადი“. ამავე პერიოდში გამოიცემოდა სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალი „ბუნება და ხელოვ-ნება“; „უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო-სალიტერატურო და საპო-ლიტიკო ჟურნალი (რედაქტორი ანდრო შილაკაძე). ნიშანდობლივია, რომ ქართველ მწერალთა (უპირატესად ცისფერყანწელების) თხზულებებისა და პოეტური ნაწარმოებების თარგმანები იბეჭდებოდა რუსულ ჟურნალში

„Ars“. ქუთაისში გამოდიოდა ჟურნალი „თეატრი და მუსიკა“ (რედაქტორი იოსებ ასლანიშვილი), რომელშიც თანამშრომლობდნენ: შალვა ქიქოძე, ლადო გუდიაშვილი, მიხეილ ჭიაურელი და სხვ. ამ პერიოდისათვის დამახასიათებელია შემოქმედებითი ინტელიგენციის ამაღლებული, პოეტური ცხოვრების ჩვენება. გახსნილი იყო ხელოვანთა კლუბები, ე.წ. არტისტული კაფეები, სადაც რეალური შემოქმედებითი ატმოსფერო იყო (იმართებოდა ლექციები, ლიტერატურული დისპუტები, მოხსენებები). ამ პროცესში სხვადასხვა ეროვნების მწერლებიც მონაწილეობდნენ (იგორ ტერენტიევი, ვასილ კამენსკი, ილია ზდანოვიჩი, ნიკოლოზ ჩერნოვსკი და სხვ.). 1920 წელს ოსიპ მანდელშტამმა შესანიშნავი ლექსი უძღვნა თბილისს. თბილისის რუსთაველის თეატრში (სარდაფში) მწერლების თაოსნობით შეიქმნა კაფე „ქიმერიონი“, რომელიც ძალზედ პოლულარული გახდა. აქ მნიშვნელოვანი ღონისძიებები ტარდებოდა, რომელშიც ქართველ მოღვაწეებთან ერთად უცხოელებიც იღებდნენ მონაწილეობას. თბილისში გამოდიოდა სომხური და აზერბაიჯანული გაზეთები. განათლებისა და მეცნიერების განვითარება განაპირობებდა ქართული წიგნის გამოცემის ორგანიზებასაც. დამოუკიდებელ საქართველოში ყურადღება ექცეოდა წიგნის ბეჭდვასა და მკითხველამდე მიტანას. წიგნის გამოცემის აღმავლობაზე მეტყველებს სტატისტიკური მონაცემებიც. XX საუკუნის პირველ ათწლეულში 3000-მდე წიგნი გამოიცა. აქედან 1914-1920 წწ-ში – 1300 (იხ. ქართული წიგნი, 1941, გვ. XXIV).

უნდა აღინიშნოს, რომ დამოუკიდებელ საქართველოში მნიშვნელოვანი წინსვლა განიცადა ქართველმა, ეროვნულმა მხატვრობამ. იგი ვითარდებოდა მსოფლიო მხატვრობის განვითარების პარალელურად[4]. სახვითი ხელოვნების სამსახურში ჩადგნენ: დიმიტრი შევარდნაძე, ვალერიან სიდამონ-ერისთავი, ალექსანდრე ციმაკურიძე, მიხეილ ჭიაურელი, დავით კაკაბაძე, ლადო გუდიაშვილი, შალვა ქიქოძე. ყველა მათგანმა დიდი წვლილი შეიტანა ახალი ქართული მხატვრობის დაფუძნება-შექმნაში. დიმიტრი შევარდნაძე ძირითადად თეატრისა და კინოს მხატვარი იყო, გარკვეული ნაწარმოებები შექმნა გრაფიკაში. ალექსანდრე ციმაკურიძემ განავითარა პეიზაჟის ჟანრი. ქართულ ისტორიულ ჟანრს საფუძველი ჩაუყარა ვალერიან სიდამონ-ერისთავმა. მკვეთრი ინდივიდუალობით გამოირჩეოდნენ დავით კაკაბაძე და ლადო გუდიაშვილი. დავით კაკაბაძე წარმატებით იკვლევდა ძველქართულ ხელოვნებას, მის სახელთან არის დაკავშირებული სტერეო კინოს გამოგონებაც (ბოლომდე განხორციელებას ხელი შეუშალეს ბიუროკრატებმა). დავით კაკაბაძემ შექმნა შედევრები: „იმერული ნატურმოტი“ (1918 წ.), „იმერეთი – დედაჩემი“ (1918 წ.), „ქიმერიონის კედლის მხატვრული ესკიზები“ (1919 წ.), „ძველი თბილისისადმი მიძღვნილი ნახატების სერია“ (918 წ.). ამ პერიოდში ლადო გუდიაშვილის შექმნილი სურათებიდან გამოირჩევა: „კინტოების ქეიფი ქალთან“ (1919 წ.),

4 XX საუკუნის დასაწყისიდან მსოფლიოს სახვითმა ხელოვნებამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა. გაიარა სხვადასხვა ეტაპები და სახელოვნებო საქმეში ახალი სიტყვა თქვა.

„სადღეგრძელო გარიჟრაჟზე“ (1920 წ.), „იდილია“ (1920 წ.), „თევზი – ცოცხალი“ (1920 წ.). 1917 წელს ვალერიან სიდამონ-ერისთავმა შექმნა მნიშვნელოვანი ისტორიული ტილოები: „თამარ მეფე“ და „კრწანისის ბრძოლა“.

ქართველი მხატვრების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ, როგორც ზემოთ ითქვა, წარმატებით შექმნეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გერბი და დროშა. გერბის ავტორი იყო ცნობილი მხატვარი იოსებ შარლემანი, დროშის – გამოჩენილი მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე.

ამ პერიოდში აქტიურად საქმიანობდა 1916 წელს დაარსებული „ქართველ ხელოვანთა საზოგადოება“. ეს მხატვართა პირველი პროფესიული გაერთიანება იყო. საზოგადოებას მიზნად ჰქონდა დასახული: მხატვართა, მოქანდაკეთა და ხუროთმოძღვართა დაახლოვება; ხელოვნების სხვადასხვა დარგის გავრცელება-პოპულარიზაცია; ხელოვნების ნაშთების შეგროვება, დაცვა და შესწავლა. „საზოგადოებამ“ მოაწყო „ძველი ქართული საეკლესიო მხატვრობის გამოფენა ე.წ. „დიდების ტაძარში“ (1917 წ.), იმდროინდელი ახალგაზრდა მხატვრების (ე. ახვლედიანი, ლ. გუდიაშვილი, დ. კაკაბაძე, ი. თოიძე, თ. თავაძე, ვ. სიდამონ-ერისთავი, შ. ქიქოძე, ვ. ჯორჯაძე) გამოფენა (1919 წ.). გამოფენებში არაქართველი მხატვრებიც მონაწილეობდნენ. ეწყობოდა ექსპედიციები ძველი მხატვრობის (ფრესკების) შესასწავლად; ზრუნავდა ნიკო ფიროსმანიშვილის ნახატების მოპოვებაზე; „საზოგადოებამ“ მონაწილეობა მიიღო ქართველ მოღვაწეთა პანთეონის გეგმის შედგენაში, მნიშვნელოვანი იყო ქართველი ფრესკების პირების გამოფენა (საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებასთან ერთად).

1918-1921 წლებში საქართველოში აქტიური მუსიკალური ცხოვრება იყო. დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამ გარკვეული ყურადღება მიაქცია ქართული მუსიკალური ხელოვნების განვითარებას. მუშაობდა 1917 წელს დაარსებული თბილისის კონსერვატორია. ქართული მუსიკალური კულტურის მკვიდრი საფუძვლის ჩასაყრელად, მისი განვითარება-წარმატებისათვის ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად კონსერვატორიას, როგორც უმაღლეს სამუსიკო სასწავლებელს, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ხალხის მიერ ევროპული მუსიკალური კულტურისა და ტექნიკური ხელოვნების უცოდინარობა უნდა აღმოფხვრილიყო. ამიტომ, საქართველოს კონსერვატორიის ბედ-იღბალზე ზრუნვა არსებითი იყო. ამ დარგს და თავად კონსერვატორიას დიდ ყურადღებას უთმობდა ივანე ჯავახიშვილი: „... ყველასათვის უდავოა, რომ ჩვენი ეროვნული მუსიკა თანდათანობით წარმატების გზას ადგია და დიდი ღირებულების შექმნის და კარგი მომავლის იმედს გვაძლევს. თუ ჩვენ შესაფერისი მზრუნველობა გავუწიეთ ამ განახლების ხანაში მყოფ ნორჩსა და სათუთს საქმეს, რომელსაც სათავეში ორი თანამედროვე ნიჭიერი ქართველი კომპოზიტორი – ზაქარია ფალიაშვილი და დიმიტრი არაყიშვილი უდგას“ (იხ. ივ. ჯავახიშვილის მოხსენება სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს) (ფონდი რ-300, ფ. 14-16), (ტაბლიაშვილი, 1967, გვ.423).

ივ. ჯავახიშვილი იყო პრაქტიკული შემქმნელი კონსერვატორიის წესდებისა, რომელიც ღრმა ცოდნისა და მეცნიერულ საბუთიანობაზე იყო დაფუძნებული. სწორედ რაციონალურმა წესდებამ განაპირობა კონსერვატორიის მოწყობა და მისი შემდგომი საქმიანობა.

მნიშვნელოვან ღონისძიებებს ატარებდა „ქართული სამუსიკო და საქველმოქმედო საზოგადოება“ და „ქართველ მუსიკოს-მომღერალთა კავშირი“, ადრე დაარსებული „ფილარმონიული საზოგადოება“. წარმატებით მოღვაწეობდა დასავლეთ საქართველოს მომღერალთა გუნდი ძუკუ ლოლუას ხელმძღვანელობით; ე.წ. ქართულ ეროვნული გუნდი სანდრო კავსაძის ლოტბარობით; სამხედრო კავშირის გუნდი ნიკო სულხანიშვილის ხელმძღვანელობით. 1919 წელს დაარსდა კაპელა დიმიტრი არაყიშვილის ხელმძღვანელობით, 1918 წლის 10 ივნისს სამხედრო კავშირის გუნდმა გამართა ეროვნული კონცერტი, სადაც წარმოდგენილი იყო დიმიტრი არაყიშვილის, მელიტონ ბალანჩივაძის, ზაქარია ფალიაშვილის, ნიკო სულხანიშვილის და სხვათა ნაწარმოებები. იმდროინდელ პრესაში („თეატრი და ცხოვრება“)[5] საგანგებოდაა ხაზგასმული ამ კონცერტის დიდი ეროვნული მნიშვნელობა და მითითებულია, რომ მას დაესწრო საქართველოს კათოლიკოს-პარტიარქი კირიონ III. შემდგომ პერიოდში იმართებოდა სხვა სახის, მათ შორის, სასულიერო კონცერტებიც.

ნიშანდობლივია, რომ მუსიკალური ხელოვნება ფეხს მკვიდრად იდგამდა მთელს საქართველოში. 1919 წელს ქუთაისში გაიხსნა სამუსიკო სასწავლებელი, რომლის დირექტორი მელიტონ ბალანჩივაძე იყო[6]. 1920 წელს სიღნაღში გაიხსნა ქართული მუსიკალური საზოგადოების ფილიალური განყოფილება. აქტიური პოზიცია ეკავა იმდროინდელ პრესას. იბეჭდებოდა კრიტიკული წერილები, სადაც მითითებული იყო საეკლესიო გალობის ნაკლოვანებები („შერყვნადაა“ კვალიფიცირებული), კონსერვატორიის გარუსულება (იყო მოთხოვნა ეროვნული რეპერტუარით ქართული სტუდიის დაარსებისა). საზოგადოება პრესის საშუალებით („თეატრი და ცხოვრება“) ითხოვდა საოპერო დასის დაარსებას.

1918 წლის 21 მაისს მომღერალ-მუსიკოსთა კავშირის თაოსნობით დაიდგა კომპოზიტორ რევაზ გოგნიაშვილის ოპერა „ქრისტინე“ (პოლიო ირეთელის ლიბრეტო ეგნატე ნინოშვილის მოთხრობის მიხედვით). ძალზე მნიშვნელოვანი იყო 1919 წლის 5 თებერვალს დიმიტრი არაყიშვილის ოპერის „თქმულება შოთა რუსთაველზე“ დადგმა (რეჟისორი ალექსანდრე წუწუნავა)[7]. რუსთაველის როლს ასრულებდა ვანო სარაჯიშვილი. ამავე წლის 21 თებერვალს დაიდგა ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“. ოპერას ავტორი დირიჟორობდა. პრესა იუწყებოდა, რომ სპექტაკლს

5 ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება“-ს თეატრალურ-ლიტერატურული ხასიათი ჰქონდა. რედაქტორ-გამომცემელი იყო იოსებ იმედაშვილი. თანამშრომლობდნენ შ. დადიანი, ი. გომართელი, ს. ხუნდაძე, კ. ყიფიანი, კ. მესხი, ვ. სიდამონ-ერისთავი, ი. გრიშაშვილი, ვ. კოტეტიშვილი, ს. ახმეტელი და სხვ. იბეჭდებოდა პიესები, სტატიები თეატრალურ პრობლემებზე, რეჟისორისა მსახიობის ოსტატობაზე (რეცენზიები სპექტაკლებზე).

6 ეს სასწავლებელი დღესაც არსებობს და მ. ბალანჩივაძის სახელს ატარებს.

7 ალ. წუწუნავა 1918 წლიდან დანიშნული იყო საოპერო თეატრის კომისრად (მმართველად).

დიდძალი ხალხი დაესწრო და დადგმამ სადღესასწაულო ხასიათი მიიღო. „აბესალომ და ეთერი“ ეროვნული კულტურის დიდ წარმატებად იქნა მიჩნეული.

1919 წლის 11 დეკემბერს დაიდგა ვიქტორ დოლიძის „ქეთო და კოტე“.

საგანგებოდ უნდა ითქვას, რომ როგორც ზემოთაც აღინიშნა, ამ პერიოდში დაიწერა (შეიქმნა) საქართველოს ჰიმნი („დიდება“), რომლის ტექსტისა და მუსიკის ავტორი იყო კოტე ფოცხვერაშვილი.

მნიშვნელოვანია, რომ ქართველი შემოქმედნი ფიქრობდნენ, მიეღწიათ ქართული ხელოვნების (მუსიკის) საერთაშორისო აღიარებისათვის. „უნდა შეიქმნას ისეთი მუსიკა ეროვნული ჰანგებიდან, რომელსაც ერთგვარად აითვისებს როგორც ქართველი, ისე ევროპელი“ – ეს დიმიტრი არაყიშვილის სიტყვებია, სადაც ნათლად ჩანს ქართველი ინტელიგენციის, ზოგადად, ქართველი ხალხის დამოკიდებულება ევროპასთან და მასთან აუცილებელ ურთიერთობაზე. ქართველ მუსიკოსთა ეს პოზიცია აბსოლუტურად ემთხვეოდა ხელოვნებისა და მწერლობის სხვა წარმომადგენელთა სწრაფვას – თავისი შემოქმედება ფართოდ გაეტანათ საერთაშორისო მასშტაბით.

საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდი ქართული თეატრისთვის ახლის ძიების ხანაა, ბევრი გააკეთეს ძველმა თეატრალურმა მოღვაწეებმა: ლადო მესხიშვილმა, მაკო საფაროვამ, ვასო აბაშიძემ, ნინო ჩხეიძემ და სხვებმა. თეატრში სიახლის დამკვიდრების აუცილებლობაზე ღიად მიუთითებდნენ აკაკი ფაღავა და მიხეილ ქორელი. სირთულეები სხვადასხვა სახისა იყო. 1919 წელს ისიც მოხდა, რომ ადმინისტრაციასთან კონფლიქტის გამო სახელმწიფო თეატრი სცენის გარეშე დარჩა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა თბილისის ქალაქის გამგეობის გადაწყვეტილებას „არტისტული საზოგადოების“ შენობის (დღევანდელი რუსთაველის თეატრი) ქართული დრამის თეატრისათვის გადაცემის შესახებ. ქართული თეატრის წარმატება იყო ქუთაისის თეატრის აქტიური საქმიანობა. თეატრს ხელმძღვანელობდნენ მიხეულ ქორელი და ალექსანდრე იმედაშვილი. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში ქართულ თეატრში მოღვაწეობდნენ: ალექსანდრე წუწუნავა, ვალერიან შალიკაშვილი, აკაკი ფაღავა; ასპარეზზე გამოჩნდა ალექსანდრე ახმეტელი.

1918 წელს ქართველ მსახიობთა კავშირის თავმჯდომარედ აირჩიეს შალვა დადიანი. გადაწყდა რეჟისორად კოტე მარჯანიშვილის მოწვევა. კ. მარჯანიშვილი 1922 წლიდან ჩაუდგა სათავეში რუსთაველის თეატრს და მნიშვნელოვან წარმატებებსაც მიაღწია. იმ პერიოდის თეატრალური ცხოვრებიდან აღსანიშნავია, რომ რამდენიმე მუშათა თეატრი გაიხსნა.

1918-1921 წლებში საქართველოში კინოხელოვნებას არ ჰქონდა ფართო გასაქანი (ზემოთ ვახსენეთ 1916 წელს გადაღებული მხატვრული ფილმი „ქრისტინე“). ქართული კინოს ფაქტობრივ დამფუძნებლად მიჩნეულია გერმანე გოგლიძე. პარიზში უმაღლეს განათლებამიღებულმა თეატრი დააარსა ოზურგეთში (1914 წ.). ა. წუწუნავასთან ერთად გადაიღო ფილმი „ქრისტინე“. 1921 წლიდან ხელმძღვანელობდა განათლების სახალხო კომისარიატთან არსებულ კინოსექტორს (1923 წლიდან „სახკინმრეწვის“ დირექტორი იყო).

საინტერესოა, რომ ბოლო პერიოდში აღმოჩნდა საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში გადაღებული ფირები. მნიშვნელოვანია კინოკადრები, რომელიც ასახავს დამფუძნებელი კრების გახსნას, საქართველოს ჯარის შესვლას ბათუმში, 26 მაისის დემონსტრაციას, უცხოელი დელეგაციების

მიღებას, „შევარდენის“ სპორტსმენთა გამოსვლას. არის უტყუარი ინფორმაცია, რომ სამხედრო საისტორიო არქივის ხელმძღვანელმა ს. ესაძემ გადაიღო კათოლიკოს-პატრიარქის კირიონ III-ის დაკრძალვა.

ქართული კინემატოგრაფი მომდევნო წლებში აღმავლობის გზით წავიდა.

საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში გარკვეული ყურადღება მიექცა ფიზკულტურულ და სპორტულ საქმიანობას. 1918 წელს შეიქმნა ტანვარჯიშის საზოგადოება „შევარდენი“, რომელმაც მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ქვეყნის (განსაკუთრებით ინტელიგენციის) ცხოვრებაში. ნიშანდობლივია, რომ ამ საზოგადოების დამაარსებლები იყვნენ გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწეები: გიორგი ეგნატაშვილი, გიორგი და თამარ ნუცუბიძეები, დავით (დათა) ჯავახიშვილი, არჩილ ბაქრაძე, გაიოზ ბერელაშვილი, გიორგი მერკვილაძე. „შევარდნის“ დაარსების თაოსანი გიორგი ნიკოლაძე იყო[8]. მან დიდი წვლილი შეიტანა საქართველოში სპორტის პოპულარიზაციის საქმეში. პრაქტიკულად მის მიერ ორგანიზებულმა ალპინისტურმა ასვლამ მყინვარწვერზე (მონაწილეობდა 18 ქართველი ალპინისტი, მათ შორის 5 ქალი) დასაბამი მისცა ალპინიზმს ჩვენს ქვეყანაში. „შევარდენი“ არსებობდა 1923 წლამდე. აწყობდა საჯარო გამოსვლებს, მონაწილეობდა „მაისობებში“, გამოსცა ჟურნალი „შევარდენი“ (რედაქტორი სოსო ასლანიშვილი). კოლეგიის წევრები იყვნენ: გიორგი ეგნატაშვილი, თამარ ნიკოლაძე, ივანე მაჭავარიანი. „შევარდენი“ მძლავრად შეიჭრა ხალხის ცხოვრებაში და საოცარი პოპულარობა მოიპოვა. ეს სპორტული საზოგადოება სილამაზისა და სისხარტის სიმბოლოდ გამოცხადდა. „შევარდენი“ დამოუკიდებელი საქართველოს ტრადიციებს არ ღალატობს და ამ მიზეზით იგი 1923 წელს გააუქმეს.

XX საუკუნის ოციან წლებში ფიზიკურ კულტურასა და სპორტში გადადგმულმა პირველმა წარმატებულმა ნაბიჯებმა საფუძველი დაუდო ქართული სპორტის შემდგომში წინსვლა-განვითარებას.

დასკვნა

როგორც ვნახეთ, დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდი (1918-1921 წწ.) ერთის მხრივ რთული იყო პოლიტიკური თუ ეკონომიკური თვალსაზრისით, მაგრამ მეცნიერება, განათლება, კულტურა (ხალხის მატერიალური და სულიერი კულტურა) ვითარდებოდა, წარმატებას აღწევდა. რაც მთავარია, ამ პერიოდის ქართველი შემოქმედებითი ინტელიგენციის მრავალმხრივმა შემოქმდებითმა საქმიანობამ მნიშვნელოვანი საფუძველი შეუქმნა საქართველოს შემდგომ კულტურულ დაწინაურებას, ხალხის სულიერი მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

---

8 გ. ნიკოლაძე - გამოჩენილი მათემატიკოსი, მეტალურგი, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი, ნიკო ნიკოლაძის შვილი. 1908 წ. წარმატებით გამოვიდა ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრზე ბულგარეთში (სოფია). 1912 წ. პეტერბურგის „სოკოლის“ შემადგენლობაში იასპარეზა პრაღაში. 1913 წელს დააარსა სატანვარჯიშო საზოგადოება დონბასში (იუზოვკა, ენაკიევო). დიდი ამაგი დასდო ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიის შექმნას. გამოსცა პირველი ქართული სახელმძღვანელო ტანვარჯიშში.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

beridze, v. (1992). *kultura da khelovneba damoukidebel sakartveloshi (1917-1921 tsts.).* tbilisi. ბერიძე, ვ. (1992). *კულტურა და ხელოვნება დამოუკიდებელ საქართველოში (1917-1921 წწ.).* თბილისი

metreveli, r. (1982). *sakartvelos saistorio da saetnograpio sazogadoeba.* tbilisi. მეტრეველი, რ. (1982). *საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება.* თბილისი.

metreveli, r. (1986). *ivane javakhishvili da tbilisis universiteti.* tbilisi. მეტრეველი, რ. (1986). *ივანე ჯავახიშვილი და თბილისის უნივერსიტეტი.* თბილისი.

metreveli, r. (1975). *kvali ganatlebuli. ivane javakhishvili da kartuli kulturis zogierti sakitkhi.* tbilisi. მეტრეველი, რ. (1975). *კვალი განათლებული. ივანე ჯავახიშვილი და ქართული კულტურის ზოგიერთი საკითხი.* თბილისი.

metreveli, r. (1995). *tadzari.* tbilisi. მეტრეველი, რ. (1995). *ტაძარი.* თბილისი.

surguladze, a. (1977). *ekvtime taqaishvili.* tbilisi. სურგულაძე, ა. (1977). *ექვთიმე თაყაიშვილი.* თბილისი.

tabliashvili, t. (1967). akademikosi ivane javakhishvili da tbilisis sakhelmtsipo universiteti. *saistorio moambe.* №№ 21-22. tbilisi. ტაბლიაშვილი, თ. (1967). აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი და და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. *საისტორიო მოამბე.* №№ 21-22. თბილისი.

pondi r-300. sakartvelos tsentraluri saistorio arkivi. pondi r-300. aghtsera 1. sakme 531. ფონდი რ-300. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი. ფონდი რ-300. აღწერა 1. საქმე 531.

kartuli tsigni. (1941). I. tbilisi. ქართული წიგნი. (1941). I. თბილისი.

jorbenadze, s. (1984). *tskhovreba da ghvatsli ivane javakhishvilisa.* tbilisi. ჯორბენაძე, ს. (1984). *ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა.* თბილისი.